თამილა ნიპარიშვილი *

ქრისტინა ნიპარიშვილი **

რუსეთი და სომხეთის ხავერდოვანი რევოლუცია***

ანოტაცია

სტატიაში განხილულია 2018 წლის გაზაფხულზე, სომხეთში მომხდარი ხავერდოვანი რევოლუციის მიზეზები, მიმდინარეობა და მისი გავლენა რუსეთ-სომხურ ურთიერთობებზე.

იმის გათვალისწინებით, რომ რუსულ და სომხურ პოლიტიკურ ელიტებს შორის არსებობს მჭიდრო კავშირები, ისევე ორივე ქვეყანა გაწევრიანებულია ორ დიდ რეგიონალურ ორგანიზაციებში - ოდკბ და EAEU, ეს მოვლენა არ შეიძლებოდა, რომ არ მოხვედრილიყო მისი სტრატეგიული მოკავშირის - რუსეთის ყურადღების ცენტრში. სტატიის მიზანია რუსეთ-სომხური ურთიერთობების გაანალიზება ხავერდოვანი რევოლუციის მიმდინარეობის დროს და მის შემდეგ.

საკვანძო სიტყვები: სომხეთი, რუსეთი, ხავერდოვანი რევოლუცია

შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყველა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ მიიღო დამოუკიდებლობა და ყველა გახდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი; თითქმის ყველამ, აირჩია ქვეყნის საკუთარი განვითარების გზა, ზოგმა ისევ შეინარჩუნა ძველი, ოღონდ სახეშეცვლილი ურთიერთობები, ზოგმა კი დასავლეთისკენ აიღო გეზი. სომხეთმა ისევ ძველი ურთიერთობები ამჯობინა. მისთვის რუსეთთან ურთიერთობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, აქვს და ექნება. მცირე ტერიტორიის მქონე, წი-

---

* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი

** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი

*** სტატიის ინგლისურენოვანი ვერსია დაბეჭდილია ჟურნალში

აღისეულით ნაკლებად მდიდარი, გეოპოლიტიკურ ჩიხში მოქცეული და მეზობელი ქვეყნების კეთილი ნების შემყურე სომხეთი, თავისთავად საჭიროებს ისეთ მყარ ზურგს, როგორიც რუსეთია. სომხეთის არჩევანი ზემოთმოყვანილი და სხვა ფაქტორებით იყო და არის გამოწვეული. სომხეთი დსთ-ს, ევრაზიული კავშირის და სხვა იმ კავშირის წევრია, რაც არსებობს პოსტსაბჭოთა სივრცეში. მისი ეკონომიკურ-სოციალური ვითარება გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ ხელისუფლებას სერჟ სარგსიანის სახით მეტი ყურადღება დაეთმო სოციალური საკითხებისთვის. როგორც ჩანს მან ქვეყნის მმართველის სავარძელს უფრო მეტი ყურადღება დაუთმო, რითაც გამოიწვია ხალხის უკმაყოფილება. 2018 წლის გაზაფხულზე სომხეთში მოხდა ხავერდოვანი რევოლუცია, რომელმაც მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. დასავლეთმა იმ დროს მოქმედი პრემიერ-მინისტრის სერჟ სარგსიანის გადადგომა და ოპოზიციის ლიდერის ნიკოლა ფაშინიანის ხელისუფლებაში მოსვლა დიდი აღფრთოვანებით მიიღო. ოპოზიციის გამარჯვებას უწოდეს დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების გამარჯვება სომხეთში. რა თქმა უნდა, სომხეთში ამგვარი უპრეცედენტო ხელისუფლების შეცვლა არ შეიძლებოდა შეუმჩნეველი არ ყოფილიყო, ისეთი მოკავშირისთვის როგორიც რუსეთია. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ხელისუფლება არ ჩარეულა რევოლუციის მსვლელობაში, რუსეთის საზოგადოების, მთავრობისა და ექსპერტების დამოკიდებულება, სომხეთში მიმდინარე მოვლენების მიმართ არაერთხელ შეიცვალა, როგორც საპროტესტო აქციების დროს, ასევე ნიკოლა ფაშინიანის ერთი წლის პრემიერ-მინისტრობის პერიოდში.

ხავერდოვანი რევოლუციის დასაწყისი

მიზეზი საპროტესტო აქციების დაწყებისა სასომხეთში გახდა ექსპრეზიდენტ სერჟ სარგსიანის მიერ, პრემიერ მინისტრის თანამდებობაზე თავისი კანდიდატურის წამოყენება.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მშფოთვარე უარყოფითი საზოგადოებრივი რეაქცია იყო თვით ექსპრეზიდენტის პოლიტიკური გადაწყვეტილებების შედეგი. მათგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო მიღებული 2015 წელს, როდესაც მოქმედი პრეზიდენტის სერჟ სარგისიანის ბრძანებულებით, 2015 წლის 6 დეკემბერს სომხეთში ჩატარდა საკონსტიტუციო რეფერენდუმი, რის შედეგადაც კონსტიტუციაში შეიტანეს ცვლილებები. ცვლილებების პროექტის თანახმად, საპრეზიდენტო ვადა ხუთიდან შვიდ წლამდე გაიზარდა, ხოლო პრეზიდენტის არჩევის ფორმა შეიცვალა პირდაპირიდან არაპირდაპირი არჩევნების გზით, რაც გულისხმობს პრეზიდენტის არჩევას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ არჩეული წარმომადგენლებისა და დეპუტატების მიერ. ამრიგად, სომხეთი გადაიქცა საპრეზიდენტო რესპუბლიკიდან საპარლამენტო რესპუბლიკად.

საკონსტიტუციო რეფორმების მომზადებისა და მიღების პერიოდში სერჟ სარქისიანმა არაერთხელ მკაფიოდ განაცხადა, რომ ის არ აპირებდა თავისი კანდიდატურის წამოაყენებას არც პრემიერ-მინისტრის და არც პარლამენტის სპიკერის თანამდებობაზე. ამასთან, ჯერ კიდევ 2015 წელს, ოპოზიციამ მკაცრად გააკრიტიკა ეს საკონსტიტუციო ცვლილებები, როგორც სერჟ სარგსიანის მიერ ხელისუფლების შენარჩუნების მცდელობა, მისი მეორე საბოლოო საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ.

ყოფილი პრეზიდენტი დაადანაშაულეს ძალადობის გამოყენებაში, ხმების გაყალბებაში და ამომრჩევლებზე ზეწოლაში, ცვლილებების მიღების უზრუნველსაყოფად. ასევე მიუთითებდა საკონსტიტუციო რეფერენდუმში საკმაოდ დაბალ აქტიობაზე, რომელიც შეადგენდა 50% -ზე ოდნავ მეტს, თუმცა, ორჯერ მეტი იყო საჭირო-

ზე, რაც აუცილებელი იყო რეფერენდუმის შედეგების დასადასტურებლად.

საინტერესოა ავღნიშნოთ, რომ მსგავსი საკონსტიტუციო ცვლილებები რუსეთშიც იყო მიღებული. იქ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა 4 წლიდან 6 წლამდე გაიზარდა, ხოლო სახელმწიფო სათათბიროს უფლებამოსილების ვადა - 4-დან 5 წლამდე. მიუხედავად ოპოზიციის პროტესტისა და ბრალდებებისა, რომ ცვლილებები იქნა მიღებული ფართომასშტაბიანი საზოგადოებრივი განხილვის გარეშე, დაჩქარებული ფორმით, ისინი ძალაში შევიდნენ 2008 წლის 31 დეკემბერს. უნდა ითქვას, რომ საპრეზიდენტო ვადის გაზრდამ ოპოზიციური პარტიების პროტესტის მიუხედავად, რუსეთში არ გამოიწვია მწვავე უარყოფითი რეაქცია. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ამ მდგომარეისა იყო ოპოზიციის სისუსტე და მოსახლეობის უმრავლესობის დაბალი პოლიტიკური ცნობიერება. ოპოზიციის უუნარობამ, კოორდინირებულ და ორგანიზებულ ქმედებებზე განაპირობა ის, რომ საპროტესტო აქციებმა ვერ მოიპოვა ხალხის მხარდაჭერა და დაიშალა მანამდე, სანამ ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობამ შეძლო მათი გაგება.

მიუხედავად იმისა, რომ ხავერდოვანი რევოლუციის მთავარ მიზეზად ხშირად ასახელებენ ექსპრეზიდენტის სერჟ სარგსიანის პრემიერ-მინისტრის პოსტზე დანიშვნას, არსებობს რიგი უფრო სიღრმისეული და გრძელვადიანი პროცესები, რამაც მასობრივი პროტესტი გამოიწვია. ერთ-ერთი ასეთი პროცესი, უდავოდ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებაა. მიუხედავად 2017 წელს სომხეთის ეკონომიკის უპრეცედენტო ზრდისა, რომელიც შეადგენდა 7.5% -ს, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტის 11.6% -ით ზრდა (Regnum, 2018), სომხეთის რიგითი მოქალაქის ცხოვრების დონე, იგივე, საკმაოდ დაბალ დონეზე დარჩა. ეს თვალნათლივ დასტურდება, მაგალითად, მსოფლიო ბანკის რეიტინგის მიხედვით, რომლის თანახმად, სომხეთის მოქალაქეების 50% (WorldBank, 2018) სი-

ღარიბის ზღვარს მიღმაა (ანუ, ისინი ცხოვრობენ დღეში არა უმეტეს 5,50$). Trading Economics თანახმად, სომხეთში უმუშევრობის დონე 2018 წლის იანვარში გაიზარდა რეკორდული 20.6% -ით (Trading Economics, 2018). მაშინ, როდესაც სახელმწიფო აპარატზე გაწეული ხარჯები წინა წელთან შედარებით 8.6% -ით გაიზარდა, ხოლო სამხედრო ხარჯები - 33% -ით, მთლიანი ხარჯები გაიზარდა მხოლოდ 1.1% - ით, ხოლო საყოფაცხოვრებო ხარჯები შეადგენდა მხოლოდ 0.2% -ს. ბიუჯეტის თანხებიდან. (Transparency international, 2018). ყველა ეს მაჩვენებელი აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ სომხეთის ეკონომიკური მდგომარეობა საშუალო ფენის მოქალაქისთვის არახელსაყრელი იყო. მიუხედავად დეკლარირებული ეკონომიკური ზრდისა, ამ მოქალაქემ ვერ ნახა ამის შედეგი, რაც, რა თქმა უნდა, განაპირობებდა მოსახლეობის დიდი ხნის წინ დაწყებული უკმაყოფილების ზრდას მმართველი პარტიისა და კერძოდ, სერჟ სარგსიანის პოლიტიკის მიმართ.

კიდევ ერთ სიღრმისეულ მიზეზად ხავერდოვანი რევოლუციისა შეიძლება დავასახელოთ კორუფციის მაღალი დონე. Transparency international თანახმად, კორუფციის რეიტინგში სომხეთი 105-ე ადგილზეა. სომხეთში კორუფციის პრობლემა ძველი და მტკივნეულია - ჯერ კიდევ 2010 წელს, სომეხმა სახელმწიფო მოხელემ და პოლიტიკოსმა, სომხეთის რესპუბლიკის პირველმა პრეზიდენტმა, ლევონ ტერ-პეტროსიანმა თქვა: ”სომხეთის დეფორმირებული ეკონომიკური სისტემა სრულადაა ადაპტირებული კორუფციასთან, ანუ ქვეყნის უმოწყალო ძარცვაზე. მას არა აქვს არავითარი ურთიერთობა არც სოციალიზმთან, არც ფეოდალიზმთან, არც კაპიტალიზმთან ან ლიბერალიზმთან. მისი თქმით, ”სომხეთში არსებული ეკონომიკური პროცესები რეგულირდება არა საბაზრო ურთიერთობებით, არამედ იმ ხუნტის ნებითა და მითითებებით, რომლებმაც მოახდინეს ძალაუფლების ოკუპირება, უფრო სწორად, კრიმინალური სამყაროს მოსაზრებებითა და წესებით“ (Regnum, 2010).

ეკონომიკის სტაგნაცია, კორუფცია და ნეპოტიზმი, ისევე როგორც ხელისუფლების უუნარობა არსებული სიტუაციის შეეცვლისა, რომელიც წლების განმავლობაში გრძელდებოდა, ამ ვითარებამ მნიშვნელოვნად შეარყია როგორც მმართველი პარტიის, ისე თავად სერჟ სარგსიანის იმიჯი.

მთელი ეს უკმაყოფილება, რომელიც წლების განმავლობაში მოქალაქეების გონებაში მწიფდებოდა, პიკს მიაღწია მაშინ, როდესაც 2018 წლის 17 აპრილს სერჟ სარგსიანმა, რომელმაც არაერთხელ განაცხადა, რომ არ წამოაყენებდა თავის კანდიდატურას არც პრეზიდენტის და არც პრემიერ-მინისტრის პოსტზე, დაინიშნა სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრად, კონსტიტუციაში მის მიერვე შეტანილი ცვლილებების თანახმად, აიღო ხელში სრულად სახელმწიფო ძალაუფლება. ანალოგიური შედეგის მოლოდინში, 2018 წლის 31 მარტს, ნიკოლ ფაშინიანმა დაიწყო ორკვირიანი მსვლელობა გიუმრიდან "ჩემი ნაბიჯი" სერჟ სარგსიანის გაპრემიერებისა და სომხეთის რესპუბლიკური პარტიის წინააღმდეგ.

რუსეთის რეაქცია სომხეთის ხავერდოვანი რევოლუციის მიმართ

სრულმაშტაბიანი საპროტესტო აქციები დაიწყო 2018 წლის 13 აპრილს, როდესაც ოპოზიციის წევრებმა და «Гражданский договор», პარტიის წევრებმა, რომელსაც ნიკოლა ფაშინიანი მიეკუთვნება, გადაკეტეს ერევნის ცენტრი და სხვა ქუჩები. ზუსტად იმავე დროს რუსულ პრესაში პირველად იყო მოხსენიებული საპროტესტო აქციები. Парламентской Газете გამოქვეყნდა შენიშვნა სათაურით: „ერევანში, ოპოზიცია აპროტესტებს ქვეყნის შესაძლო პრემიერ-მინისტრს“ (Oktyabrev, V, 2018). შენიშვნა შედგებოდა სამი აბზაცისაგან და მხოლოდ ინფორმაციული ხასიათს ატარებდა.

„Московский Комсомолец“ და „Росбалт“ უფრო თავშეკავებულები იყვნენ თავიაანთ გამონათქვამებში. ამასთან, პროვოკაციული სათაურების მიუხედავად: "სომხეთში დაიწყო მაიდანი: ოპოზიცია

მოითხოვს ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს” (Avakov, A, 2018) და „ოპოზიციონერი სომეხი დეპუტატი მოუწოდებდა სამოქალაქო დაუმორჩილებლობის აქციებისკენ” (Rosbalt, 2018). თვითონ სტატიების ტექსტები საკმაოდ თავშეკავებულ ხასიათს ატარებდნენ, თუმცა ოპოზიციის ლიდერის მიმართ სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი. გაზეთმა „Московский Комсомолец“ -მა ნ. ფაშინიანის ქმედებები შემდეგნაირად შეაფასა: ”... არსებობს ჭორები, რომ ნ.ფაშინიანს შეეძლო გაეწირა ფსკერზე მიმავალი ბლოკის ინტერესები (მხედველობაში აქვს ოპოზიციური პარტის Елк („იელქის“) -ის ბლოკი, რომლის წევრიც იყო ნიკოლა ფაშინიანის პარტია Гражданский Договор), რომელიც თავისი მომავლის უზრუნველსაყოფად გამოიყენებდა სარგსიანის პრემიერ – მინისტრად წამოყენებას. თუ ის პარლამენტში ყველაზე რადიკალური ძალის ადგილის დაკავებას შეძლებს, ის კვლავ შეძლებს ქუჩაში გასვლას, ამით თავიდან მოიცილებს ახლა უკვე არასასურველ „მოკავშირეებს” (Московский Комсомолец, 2018).

გაზეთი „Известия“, 2018 წლის 16 აპრილს გამოქვეყნებულ სტატიაში აშუქებს რა სომხეთში მიმდინარე საპროტესტო აქციებს, აღნიშნავდა, რომ სერჟ სარგსიანმა არაერთხელ განაცხადა რუსეთთან მეგობრული ურთიერთობების გაძლიერების განზრახვის შესახებ. ზოგადად, რუსული პრესის შენიშვნები და სტატიები, რომლებიც აშუქებდნენ სომხეთში ხავერდოვანი რევოლუციის მიმდინარეობის მოვლენებს, ატარებდნენ თავშეკავებულ, ინფორმაციულ ხასიათს, მაგრამ სომხეთში მიმდინარე მოვლენებს, არაერთხელ უწოდა ”ახალი მაიდანი”, რაც, რუსეთის ხელისუფლებისადმი ერთგული პრესის კონტექსტში, აშკარად უარყოფით აზრს ატარებდა.

19 აპრილს, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერმა მარია ზახაროვამ, სომხეთში არსებულ ვითარებაზე, ასეთი კომენტარი გააკეთა: ”ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ სიტუაცია მეგობრულ სომხეთში მოგვარდება დემოკრატიული გზით, კანონის ფარ-

გლებში" (EurAsia Daily, 2018). ამ განცხადებაზე დაყრდნობით, ნიკოლა ფაშინიანმა ჩათვალა, რომ სერჟ სარგსიანმა დაკარგა რუსეთის მხარდაჭერა. ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად სამართლიანი იყო ასეთი განცხადება, თუმცა ხავერდოვანი რევოლუციის მიმდინარეობისას რუსეთის სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლებმა, არაერთხელ გაუსვეს ხაზი სომხეთის საქმეებში რუსეთის ჩაურევლობის შესახებ.

დსთ-ს საქმეთა კომიტეტის პირველმა მოადგილემ კონსტანტინე ზატულინმა განაცხადა, რომ "სომხეთის ტრადიციებში არ არის მოიწვიოს ვინმე სომხეთის შიდა საკითხების გადასაჭრელად, ეს გამოიწვევს ბევრად უფრო მეტ უარყოფით რეაქციას იმათ შორის, ვინც მხარს უჭერს ამჟამინდელ მთავრობას." მან ისაუბრა რუსეთზე, როგორც დამკვირვებელზე, რომელიც "პოლიტიკური საშუალებებით უნდა დაეხმაროს ლეგიტიმურ ხელისუფლებას ", უწოდებს უშუალო ჩარევას "კონტრპროდუქტიულს" (Support Centreof Russian Armenian strategic and public initiatives, 2018). მის სიტყვებში, შეიძლება იხილოთ რუსეთის მთავრობის პოზიცია, რომელიც დე იურე მხარი დაუჭირა ს.სარგსიანის მთავრობას და დე ფაქტო ცდილობდა დაეჭირა დისტანცია სომხეთის ხავერდოვან რევოლუციაში ჩარევისაგან. იგივე პოზიცია გამოხატა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ დიმიტრი პესკოვმა.

რუსეთის ხელისუფლებამ ასევე თავშეკავებულად გამოხატა თავისი რეაქცია სერჟ სარგსიანის გადადგომაზე. მაგრამ გამოირჩევა მხოლოდ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის, მარია ზახაროვას რეაქცია, რომელმაც თავის ტვიტერში, მაღალ დონეზე შეაფასა ის, რაც მოხდა სასომხეთში, და დაასრულა თავისი კომენტარი სიტყვებით: „სომხეთი, რუსეთი ყოველთვის შენთანაა!" (EurAsia Daily, 2018).

რუსულ სოციალურ ქსელში 2018 წლის გაზაფხულზე სერჟ სარგსიანის გადადგომა დიდი ენთუზიაზმით მიიღეს. მომხმარე-

ბელთა უმეტესობა ციტირებას აკეთებდნენ პუტინის ხელისუფლების მომხრეების პროვოკაციული კითხვაზე, რომ არ მოეწყოთ მათ მიტინგები და ოპოზიციის საპროტესტო აქციები, "გინდა როგორც უკრაინაშია?", და პასუხობდნენ: „არა, მინდა როგორც სასომხეთშია“.

რაც შეეხება რუსი პოლიტოლოგებისა და ექსპერტების მოსაზრებებს ხავერდოვანი რევოლუციის, სერჟ სარგსიანის გადაყენებისა და ნიკოლა ფაშინიანის ხელისუფლებაში მოსვლის შესახებ, მათ უმეტესად უარყოფითი ელფერი დაჰკრავდათ. მაგალითად, პოლიტოლოგმა ნერსეს არუთუნიანმა EAD Daily- ში გამოქვეყნებულ სტატიაში, რომელშიც შეაფასა ხავერდოვანი რევოლუციის მიზნები და შესაძლო შედეგები, დაწერა, რომ ახალი პრემიერ-მინისტრის ნიკოლა ფაშინიანის არჩევის ერთ-ერთი ამოცანა იყო ”მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების მოლაპარაკებების პროცესის ჩაშლა, მისი ძირითადი მიდგომების გადასინჯვა და ფორმატის შეცვლა”, აგრეთვე სომხეთის, რუსეთის გავლენის ზონიდან გადასვლა, დასავლეთის გავლენის ზონაში, საქართველოს გავლით ”(Arutyunyan, N, 2018).

რუსმა ჟურნალისტმა და ტელეწამყვანმა, აგრეთვე შეთავსებით პრესმდივანმა და «Роснефть» -ის ვიცე-პრეზიდენტმა მიხაილ ლეონტიევმა, საკუთარ თავს უფლება მისცა ეთერში გაცილებით უფრო მკაცრი განცხადებები გაეკეთებინა. რადიოსადგურ «Комсомольская Правда» -ს ეთერში მან განაცხადა, რომ ”რუსეთის დახმარების გარეშე არ იქნებოდა არანაირი სომხეთი”, და ასევე მკაცრად გააკრიტიკა სომხეთის მოქალაქეები და ირწმუნებოდა, რომ ისინი ”არავის არ სჭირდებიან რუსეთის გარდა” (Vestnik Kavkaza, 2018). ამგვარი გამონათქვამების გამო, მან მოგვიანებით ბოდიში მოიხადა, ამავე დროს ხაზი გაუსვა იმას, რომ ეს მისი აზრი იყო და არ იყო «Роснефть»-ის ოფიციალური პოზიცია.

ამავე დროს, მისმა კოლეგამ და ანალიტიკური პროგრამის "Глав Тема"- ის წამყვანმა მხარი დაუჭირა მ. ლეონტიევს და აგრეთვე აღნიშნა, რომ იგი ვერ ხედავს ვერაფერს გაუგებარს და ჰიპოთეტურს სომხეთის ხელისუფლების მოთხოვნით, რუსეთის მიერ ძალის გამოყენების შესახებ.

პოლიტოლოგი დიმიტრი მიხეევი, რადიოსადგურ «Вести ФМ»-ის ეთერში, საგარეო საქმეთა მინისტრზე საუბრისას, განაცხადა, რომ ის დარწმუნებულია, რომ რუსეთის "ტრადიციულმა მტრებმა" გავლენა მოახდინეს სომხეთის ხავერდოვანი რევოლუციის მიმდინარეობაზე. მან თქვა, რომ "ამ წლების განმავლობაში მათ (იგულისხმება დასავლური ორგანიზაციები) შექმნეს დიდი ჯგუფი, პროდასავლურზე ორიენტირებული ჩინოვნიკების ფენა, სომხეთის ძალაუფლების ყველა დონეზე; მოისყიდეს საზოგადოებრივი ექსპერტები, ინტელექტუალური კლასი, გრანტების სისტემის საშუალებით და მედიის მნიშვნელოვანი ნაწილი" (Vestnik Kavkaza. 2018).

ნიკოლა ფაშინიანის ვლადიმერ პუტინთან შეხვედრისა და სომხეთის ახალ მთავრობასა და რუსეთის მთავრობას შორის ურთიერთობების დამყარების შემდეგ, რუსი ექსპერტების განცხადებები უფრო ლმობიერი გახდა.

ასე რომ, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა, კავკასიის კვლევების სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდენტმა ალექსანდრე კრილოვმა გამოთქვა მოსაზრება, რომ არ უნდა ველოდოთ სომხეთის გადასვლას "დასავლეთში" და სომხეთის ხელისუფლების ახალი ურთიერთობები მოსკოვთან უზრუნველყოფს "ახალ შესაძლებლობებს" (Armenia Sutnik. 2018)

რუსეთისა და სომხეთის ახალი ურთიერთობები რევოლუციის შემდეგ

ეს "ახალი ურთიერთობები", კერძოდ, ურთიერთობები კრემლის პოლიტიკურ ელიტასა და ნიკოლა ფაშინიანის ახალ სომხურ მთავრობას შორის, დღესდღეობით, ნ.ფაშინიანის პრემიერ-მინისტრობის ერთ წელზე მეტი ხნის შემდეგ, როგორც ჩანს, ნაყოფიერი თუ არა, საკმაოდ მყარი მაინც არის. მეტიც მთელი ხავერდოვანი რევოლუციის მიმდინარეობის განმავლობაში, რუსეთის სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებმა არაერთხელ განაცხადეს, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, რომ რუსეთი არ აპირებს სომხეთის საქმეებში ჩარევას. პრეზიდენტის პრეს სპიკერმა დიმიტრი პესკოვმა ასევე გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ კრემლი უადგილოდ მიიჩნევს პარალელების გავლებას სომხეთში მიმდინარე მოვლენებსა და უკრაინაში მომხდარ მოვლენებს შორის.

ძნელი სათქმელია, რით იყო გამოწვეული ასეთი თავშეკავება. კრემლი, რომელიც აქამდე მწვავედ რეაგირებდა ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში მიმდინარე ნებისმიერ საპროტესტო აქციებსა და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის მოქმედებებზე, გამოავლინა უპრეცედენტო ზომიერება თავის განსჯაში რევოლუციის შესახებ, მის მოკავშირე და ევრაზიული ეკონომიკური საზოგადოების პარტნიორ ქვეყანაში.

ამის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ავღნიშნოთ, რუსეთის ხელისუფლების უკმაყოფილება ქვეყნის ყოფილ ლიდერთან სერჟ სარქისიანთან, რომელიც, მიუხედავად მრავალჯერადი განაცხადისა, რომ სომხეთისთვის პრიორიტეტულია რუსეთთან მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობების განვითარება, მან 2015 წელს ხელი მოაწერა "ყოვლისმომცველ და გაფართოებული პარტნიორობის ხელშეკრულებას". ევროკავშირთან.

გარდა ამისა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რუსეთის ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ დაამყარებდა იმ ”ახალ ურთიერთობებს” ნიკოლა ფაშინიანთან, რომელმაც, თავს უფლება მისცა გაეკეთებინა გარკვეული ანტირუსული განცხადებები, ხავერდოვანი

რევოლუციის მოვლენების დასაწყისში და შემდგომში არაერთხელ გამოთქვა სურვილი, რომ შეენარჩუნებინა სტაბილური ურთიერთობები მოსკოვთან.

პუტინის ახლადარჩეულ პრემიერ მინისტრთან ნიკოლა ფაშინიანთან პირველი შეხვედრის დროს, 2018 წლის 8 მაისს, ნ. ფაშინიანმა რუსეთის პრეზიდენტი დაარწმუნა, რომ რუსეთსა და სომხეთს შორის სტრატეგიული ურთიერთობები "არ საჭიროებს განხილვას." ეს განცხადება და ნ. ფაშინიანის პრემიერ-მინისტრობის მთელი გასული წელი მოწმობს მის განზრახვას უახლოეს მომავალში გააგრძელოს სომხეთის ამჟამინდელი საგარეო პოლიტიკა. და ეს იმის და მიუხედავად, რომ წარსულში ნ. ფაშინიანმა რამდენჯერმე დააყენა ЕАЭС -იდან სომხეთის გასვლის საკითხი!

ამის მრავალი მიზეზი არსებობს, მთავარი კი, უდავოდ, არის არადარეგულირებული ყარაბაღის კონფლიქტი. ნ. ფაშინიანისა და სომხეთის ახალი მთავრობის სურვილის მიუხედავად, გააღრმავონ და განავითარონ ურთიერთობები დასავლეთთან, ამ ეტაპზე (და ეს ესმის სომხეთის მთელ პოლიტიკურ ელიტას) სხვა ალტერნატივა გიუმრის 102-ე რუსეთის სამხედრო ბაზისა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს სტრატეგიულ უსაფრთხოებას და მის ტერიტორიულ მთლიანობას არ არსებობს. ამიტომ, სამხედრო თანამშრომლობის თვალსაზრისით, რომელიც დღემდე რუსეთის მთავარ ბერკეტად რჩება ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან ურთიერთობებში, სომხეთი იძულებულია ორიენტირებული იყოს, მხოლოდ რუსეთის მხარდაჭერაზე. ასე რომ, 2019 წლის 29 ოქტომბერს, რუსეთის დელეგაციის სომხეთში ვიზიტის დროს, რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი შოიგუს ხელმძღვანელობით, ხელი მოეწერა 2020 წლის ერთობლივი სამოქმედო გეგმას, რომელიც ასევე ითვალისწინებს გიუმრიში რუსული სამხედრო ბაზის მნიშვნელოვან გაძლიერებას.

ეკონომიკური ურთიერთობები რუსეთთან არც ისე მარტივია. რუსული გაზის იმპორტი სომხეთში სტაბილურად იზრდება, ამასთან ერთად ფასებიც იზრდება. 2019 წლის იანვრიდან გაზის ფასები გაიზარდა 150 დოლარიდან 165 დოლარამდე ათას კუბურ მეტრზე, ხოლო 2020 წლის დასაწყისისთვის მოსალოდნელია კიდევ 30%–ით ზრდა (EurAsia Daily, 2019). მოლაპარაკებები რუსეთსა და სომხეთს შორის გაზის ფასის დარეგულირებასთან დაკავშირებით ჯერ არ დასრულებულა. საბოლოო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, ნ. ფაშინიანმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ის "იქნება მოკავშირე" (EurAsia Daily, 2019). ამასთან, ამ მოსაზრებას არ იზიარებს სომხური საზოგადოება, რომელიც ახლა მკაცრად აკრიტიკებს როგორც რუსეთის, ისე სომხეთის მთავრობას. თუმცა სომხეთის მთავრობა 2017 წლიდან აწარმოებს მოლაპარაკებებს ირანთან, ირანიდან საქართველოში გაზის ექსპორტთან დაკავშირებით, სატრანზიტო ქვეყნად გახდომის შესაძლებლობის შესახებ. თუ სომხეთის მთავრობის გეგმები ირანულ გაზთან დაკავშირებით განხორციელდება, ეს უდავოდ გამოიწვევს რუსეთის მთავრობის უკმაყოფილებას, რომელიც ამჟამად აკონტროლებს სომხეთის გაზის განაწილების სექტორს.

ასევე აღსანიშნავია დაძაბულობის ზრდა სომხეთის მთავრობასა და რუსეთის ბიზნეს სტრუქტურებს შორის. ასე რომ, 2019 წლის ივნისში, გამოვლენილი დარღვევების გამო, სომხეთში გაზპრომის შვილობილი კომპანია დააჯარიმეს 20 ათას დოლარზე მეტით (RIA NEWS, 2019).

გარდა ამისა, 15 აგვისტოს ჩხრეკა განხორციელდა დახურული სააქციო საზოგადოების „სამხრეთ კავკასიის რკინიგზის" ოფისში (სომხეთში რუსული რკინიგზის სტრუქტურა) სპეცნაზის მონაწილეობით. ამის მიზეზი იყო კორუფციასთან ბრძოლა და კომპანიაში მრავალმილიონიანი დარღვევები. გაზეთ „Коммерсант"-თან ინტერვიუში ნ. ფაშინიანმა თქვა, რომ კომპანიის მიერ ბოროტად გამოყენების თანხამ $ 60 მილიონი შეადგინა (Kommersant, 2019).

ამ ვითარებაში, ისევე როგორც გაზის ფასების შემთხვევაში, ნ. ფაშინიანი კვლავ ირწმუნებოდა ვ.პუტინთან სრული მხარდაჭერისა და თანამშრომლობის შესახებ, ხოლო რუსი ექსპერტები სომხეთის ხელისუფლების ქმედებებში ხედავენ, რუსულ ბიზნესზე ზეწოლის განხორციელებას.

სომხეთ-რუსეთის ურთიერთობებში გარკვეულ დაძაბულობას იწვევს, აგრეთვე ძველი რეჟიმის წარმომადგენელთა „წმენდა“ სომხეთის ხელისუფლების მხრიდან. კერძოდ, დიდი რეზონანსი გამოიწვია ექსპრეზიდენტ რობერტ კოჩარიანის, ყოფილი პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის სპიკერის ოვიკ აბრამიანის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრამ, რომლებიც, ერთ დროს, აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას სომხეთის შესვლაზე ЕЭАС და ოდკბ-ში.

დასკვნა

ნ.ფაშინიანის ხელისუფლებაში მოსვლიდან ერთი წლის შემდეგ, 2019 წლის მაისში, მან გადაწყვიტა შეეჯამებინა თავისი პრემიერ-მინისტრობის პერიოდი. რაც შეეხება ფინანსურ-ეკონომიკურ ბლოკს, პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა, პენსიების გაზრდა, სავალდებულო, დაგროვების საპენსიო სისტემაში ცვლილებების შედეგად, ასევე მსოფლიო ბანკთან 500 მილიონი აშშ დოლარის თანამშრომლობის ხელშეკრულების დადებით (Armenia Sputnik, 2019). გარდა ამისა, მოხსენებაში აღინიშნა სამხედრო მოსამსახურეების მდგომარეობის გაუმჯობესება, სამედიცინო დაწესებულებების უზრუნველყოფა უახლესი სამედიცინო დანიშნულების აპარატურით, აგრეთვე დამატებითი სამედიცინო პროგრამების შექმნა ღარიბებისთვის.

რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, მიუხედავად სომხეთის პრემიერ- მინისტრის არაერთი გამონათქვამისა, რომ იგი რუსეთს მიიჩნევს სომხეთის სტრატეგიულ მოკავშირედ, მის მონაწილეობას ნატოს სამიტში, ანტიპუტინური განცხადებებით ცნობილი ძირითა-

დი პოლიტიკოსების დანიშვნა, ასევე, ოდკბ-ს გენერალური მდივნის ხაჩუტაროვისა და ყოფილი ექსპრეზიდენტის კოჩარიანის დაპატიმრების გამო, აგრეთვე დიდი რუსული კორპორაციების, სომხეთში შვილობილ კომპანიებში კორუფციული სკანდალები, უარყოფითად აღიქმებოდა მოსკოვში.

ამავდროულად, თავისი პრემიერ-მინისტრობის პერიოდში, ნ. ფაშინიანი რამდენჯერმე შეხვდა პუტინსა და რუსეთის დელეგაციებს. მჭიდრო თანამშრომლობას ეწეოდა სამხედრო და ეკონომიკურ სფეროებში, ამიტომ მოსკოვთან ურთიერთობებში, ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ, არავითარი რადიკალური ცვლილებები არ მომხდარა.

ნ.ფაშინიანის მრავალი მომხრე ელოდებოდა ევროკავშირთან და შეერთებულ შტატებთან გაღრმავებულ პარტნიორობას, მაგრამ ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადაიდგა. ამასთან, ნ. ფაშინიანის ზოგიერთი იდეა, როგორიცაა მაგალითად, საკადრო ბანკის შექმნა, რომელიც ევროკავშირის წევრი ლიდერების მიერ უარყოფითად აღიქმებოდა, რადგან ასეთი სისტემა, სახელწოდებით ”ხელით მართვა”, ტრადიციულად, თანმდევარია მხოლოდ ავტორიტარული ქვეყნებისა.

ახლა ძნელი სათქმელია, რა კურსს აირჩევს პრემიერმინისტრი ნ. ფაშინიანი, რომელიც აირჩიეს 2018 წლის დეკემბრის რიგგარეშე არჩევნებზე. სამომავლოდ, ამ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, ნ. ფაშინიანმა და მისმა პარტიამ «Мой Шаг», რომელმაც ხმების 70 პროცენტზე მეტი მიიღო, საბოლოოდ მიიღო სრული ლეგიტიმურობა და ახლა მხოლოდ დრო გვიჩვენებს, შეასრულებს თუ არა იგი წინასაარჩევნო დაპირებებს დემოკრატიის გაძლიერების, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და სომხეთის სამოქალაქო საზოგადოების შექმნის შესახებ, ან შეწირავს მათ რუსეთთან სტრატეგიული ურთიერთობებისა და პრორუსული სომხური პოლიტიკური ელიტის მხარდაჭერის შენარჩუნების მიზნით.

ლიტერატურა:

1. Armenia Sutnik. (2018, December). “Color“ nature of velvet revolution in Armenia was not confirmed – says Russian expert. Retrieved from https://ru.armeniasputnik.am/parliamentary_elections/20181210/16165889/cvetnoj-harakter-barhatnoj-revolyucii-v-armenii-ne-podtverdilsya-rossijskij-ehkspert.html
2. Arutyunyan N. (2018, August). Armenian Velvet Revolution: goals, forces and possible consequences. EurAsia Daily. Retrieved from https://eadaily.com/ru/news/2018/08/20/armyanskaya-barhatnaya-revolyuciya-celi-sily-i-vozmozhnye-posledstviya
3. Avakov, A. (2018). “Maidan” has started in Armenia. Moskovskiykomsomolez. Retrieved from https://www.mk.ru/politics/2018/04/15/v-armenii-nachalsya-maydan-oppoziciya-trebuet-dosrochnykh-parlamentskikh-vyborov.html
4. EurAsia Daily. (2018, April). RF Ministry for Foreign Affairs: We are convinced that the situation in Armenia will be resolved legally. Retrieved from https://eadaily.com/ru/news/2018/04/19/mid-rf-uvereny-chto-situaciya-v-erevane-budet-uregulirovana-v-pravovom-pole
5. EurAsia Daily. (2019, October). “The decision will be an allied one” - PM Pashinyan on Armenia-Russia talks on price of gas. Retrieved from https://eadaily.com/ru/news/2019/10/29/pashinyan-resheniya-po-cene-na-rossiyskiy-gaz-dlya-armenii-budut-soyuznicheskimi
6. Himshiashvili P. (2018, May). Pashinyan and Putin hold first meeting. Rbc. Retrieved from: https://www.rbc.ru/politics/14/05/2018/5af95d769a7947a2e45888f5
7. Oktyabrev, V. (2018). In Yerevan opposition rallies against candidate for prime minister. Parlamenskayagazeta. Retrieved from: https://www.pnp.ru/politics/v-erevane-oppoziciya-mitinguet-protiv-konstitucionnoy-reformy-v-strane.html
8. Petrosyan, T. (2019). Armenian foreign policy elicited criticism of Pashinyan. KavkazskiyUsel. Retrieved fromhttps://www.kavkaz-uzel.eu/articles/328505/
9. Rosbalt. (2018, April). Armenian opposition deputy calls for civil disobedience. Retrieved from https://www.rosbalt.ru/world/2018/04/16/1696648.html
10. Regnum (2018) Corruption in Armenia is reaching an institutional scale. Retrieved from: https://regnum.ru/news/polit/1336630.html
11. Regnum. (2018). The Armenian economy grew by remarkable 7,5 per cent in 2017. Retrieved from: https://regnum.ru/news/2385550.html
12. RIA NEWS. (2019, June). Public Services Regulatory Commission fined Gasprom 20 thousand dollars. Retrieved from:

https://ria.ru/20190605/1555296150.html?utm_source=yxnews&utm_medium=desktop&utm_referrer=https%3A%2F%2Fyandex.ru%2Fnews
13. Solovyov, V. (2019, September). In Gasprom subsidiary a major financial abuse was detected. Kommersant. Retrieved from https://www.kommersant.ru/doc/3737317
14. Support Centre of Russian-armenian strategic and public initiatives. (2018, April). The State Duma ruled out Russian intervention in Armenia. Retrieved from http://russia-armenia.info/node/48470
15. Trading Economics. (2018) Armenia – unemployment rate. https://ru.tradingeconomics.com/armenia/unemployment-rate
16. Transparency international. (2018) https://www.transparency.org/cpi2018
17. VestnikKavkaza. (2018, May). Russian expert society: About Velvet Revolution in Armenia. Retrieved from https://vestikavkaza.ru/analytics/Rossiyskie-eksperty-o-barkhatnoy-revolyutsii-v-Armenii.html
18. World Bank, Development Research Group. (2018) Poverty headcount ratio. https://data.worldbank.org/indicator/SI.POV.UMIC

Tamila Niparishvili
Kristina Niparishvili

Russia and the Velvet Revolution of Armenia

Abstract

The article looks into the cause and the course of the Armenian velvet revolution, that took place in spring 2018 and its impact on relations between Russia and Armenia. Given the fact that there are strong linkages between Armenian and Russian political elite and that both countries are members of major regional organizations - Eurasian Economic Community and Collective Security Treaty Organization, change of power obviously draw attention of Armenia's strategic ally - Russia. Despite the non-interference of Russian authorities during the revolution, Russian public, government and expert society repeatedly changed their attitude to the events that occurred on the territory of the Armenia, both during the revolution and Pashinyan's premiership.